საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7688
13/12/2022

7688-21-2-202212131618

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“
მის: ქ. თბილისი, ანა პოლიკოვსკაიას N 5
ელ.ფოსტა: lnfo@water.gov.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 14 სექტემბრის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N15512/1 განცხადება, რომელიც ეხება ქ. სიღნაღისა და ქ. წნორის წყალარინების სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშზე თანდართული Shp ფაილების გადამოწმების შედეგად, 1868 გრძივი მეტრი ხაზოვანი ნაგებობა მდებარეობს სახელმწიფო ტყეში. კერძოდ, ლაგოდეხი-დედოფლისწყარო სიღნაღის სატყეო უბნის სიღნაღის სატყეოში, კვარტალი N9, ლიტერი NN24,34; კვარტალი N16, ლიტერი NN2,4,11 და ყოფილი საკოლმეურნეო ტყე.
  აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან დაგეგმილი საქმიანობა ტყის ტერიტორიაზე ხორციელდება, საჭიროა დაზუსტდეს ტყის სტატუსის შეწყვეტა იგეგმება თუ ტყით სპეციალური სარგებლობა. ტყის სტატუსის შეწყვეტის მოთხოვნის შემთხვევაში, საჭიროა, დამატებით წარმოდგენილ იქნას ინფორმაცია: რატომ არის საჭირო ტყის სტატუსის შეწყვეტა საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე; რატომ არის შეუძლებელი აღნიშნული საქმიანობის განხორციელება განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში; გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ალტერნატივების შესწავლის ნაწილში ყურადღება გამახვიდლეს ტყის კომპონენტზე (მათ შორის, დასაბუთდეს შემოთავაზებული ადგილის უალტერნატივობა და შესაძლებლობის შემთხვევაში, შემოთავაზებულ იქნას სხვა, ალტერნატიული ვარიანტი, რომელიც არ გაივლის ტყის ტერიტორიაზე);
  ხოლო განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის შემთხვევაში, რაც ასევე ინფორმაციის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი, საჭიროებს შეთანხმებას სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან. განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის უფლების მოსაპოვებლად, ასევე საჭიროა წარმოდგენილი იყოს შემდეგი ინფორმაცია: ხე-ტყის მოჭრის

აუცილებლობის დასაბუთება (ჭრის საჭიროების არსებობის შემთხვევაში); განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის შერჩეულ ფართობზე არსებულ მერქნიან მცენარეთა მონიშვნის მასალები, მათ შორის აღრიცხვის მასალები და ინფორმაცია წითელი ნუსხით დაცულ მერქნიან მცენარეთა სახეობების არსებობის შესახებ;

- წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს არსებული ინფორმაციით, საპროექტო ტერიტორია კვეთს სასარგებლო წიაღისეულის (ღორღი) მოპოვების მიზნით დასკვნა მომზადებულ ობიექტს #59998_2022_ID, რომელზეც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, შემდგომში ლიცენზიის გაცემის მიზნით. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი.

გთხოვთ, ორი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სააგენტოში. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო